ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N7

(საქონლის შესყიდვა)

ქალაქ ფოთი 08 მაისი 2023 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი- შემდეგში ,,შემსყიდველი", წარმოდგენილი ქალაქ აკაკი ჩხაიძის სახელობის ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის დირექტორის მაია კორკელიას სახით) და მეორეს მხრივ, შპს"ორგსერვისის" დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") (ქ.ფოთი აღმაშენებლის ქ#12, ს/კ 212693851) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.2

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 **შესყიდვის ობიექტი:** ხელოვნების ნივთების შესაქმნელად საჭირო მასალები და სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთები

2.2 **შესყიდვის საშუალება** - გამარტივებული შესყიდვა

2.3. კლასიფიკატორის (CPV) კოდი - CPV24900000- სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები; CPV30100000- საოფისე მანქანა დანადგარები,აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები კომპიუტერების და პრინტერების გარდა;; (CPV) 44800000-საღებავები,ლაქები და მასტიკები;

CPV24910000-წებო ჩხირი-20 ცალი 6 ლარი; CPV30194320 – ფერადი ქაღალდი-33,60ლარი; CPV30197120-ჭიკარტი -6,40; (CPV) 44810000-საღებავები-58,60 ლარი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის ღირებულება შეადგენს 104(ასოთხი) ლარი 40 თეთრი, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.
3.2. დაფინანსების წყარო-2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 20 მაისის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშფაქტურა.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 საქონელი უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არ მყოფი), მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 20 ივლისის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სასწავლებლის დირექტორი და მომწოდებელი ორგანიზაციის დირექტორი.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება, მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს, როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.
10.2 მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. მიმწოდებლის მიერ მომსახურების შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთლიანად პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქცია: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას და შესრულების ვადის გადაცილებას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2 %-ს.

12. სხვა პირობები

12.2 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
12.3 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მოაწოდოს საქონელი ან საქონლის ნაწილი;
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
12.6 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი	**შპს „ორგსერვისი"**
მის: ქ. ფოთი, გეგიძის 12	მის: ქფოთი, აღმაშენებლის 12
სახელმწიფო ხაზინა	სს „თიბისი ბანკი”
სახაზინო კოდი 05020101	ბ/კ TBCBGE22
ბ/კ TRESGE22	ა/ა GE32TB0300000030467356
ს/კ № 415106361	ს/კ № 212693851
---	_____
სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი დირექტორი მ.კორკელია	**შპს“ორგსერვისის“ დირექტორი ხ.ნემსაძე**

Maia Korkelia
Maia Korkelia 2023.05.08 14:04:06 +04'00'

LTD Orgservice
Digitally signed by LTD Orgservice Date: 2023.05.08 14:35:12 +04'00'

მიწოდების ფასები დანართი N1

N	დასახელება	რაოდ-ბა	ერთეული	ერთეულის ფასი	თანხა	CPVკოდი
1	ჭიკარტი მრავალჯერადი, ფერადი, AXENT 50ც. 4213-A	4	ცალი	1,60	6,40	30197120
2	საღებავი ტექსტილის	1.00	ცალი	30	30,00	44812310
3	საღებავი კონტური	1.00	ცალი	9,60	9,60	44812310
4	საღებავი მარგალიტის იმიტაციისათვის	1.00	ცალი	10,40	10,40	44812310
5	საღებავი მეტალიკი	1.00	ცალი	8,60	8,60	44812310
6	ქაღალდი ფერადი FABRIANO MURILLO Verdone 70*100სმ. 260გრ. 11001011	7	ცალი	4,80	33,60	30194320
7	წებო ჩხირი 7*30	20	ცალი	0,30	6,0	24910000
	სულ				**104,60**	

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი 8 მაისი 2023 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, მე, ქალაქ ფოთის აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის დირექტორი, მაია კორკელია, ვადასტურებ, რომ შპს „ორგსერვისის“ დირექტორ ხვიჩა ნემსაძესთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

დირექტორი **მაია კორკელია**